# განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენება

**თამარ დოლიაშვილი, თებეა კარტოზია**

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნების, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (I-VI-კლასები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიო გორგოძე, ასოცირებული პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2023**

## 1.2 განაცხადი

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

თამარ დოლიაშვილი, თ.დ 18.06.2023

თებეა კარტოზია, თ.კ 18.06.2023

## 1.3 აბსტრაქტი


წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის, სოფელ ფარცხანაყანევის №2 საჯარო სკოლაში განხორციელებული პრაქტიკის კვლევის ანგარიშს. მოცემული კვლევა ეხება ამავე სკოლის დაწყებით და საბაზო საფეხურზე განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენებას.

განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმების მიუხედავად, ჯერ კიდევ დიდ გამოწვევას წარმოადგენს სკოლებში განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენება. სწორედ ამ პრობლემის გამოსაკვლევად ფარცხანაყანევის №2 საჯარო სკოლაში ჩავატარეთ პრაქტიკის კვლევა, რომელშიც ჩართული იყვნენ ამავე სკოლის მეორე, მესამე, მეოთხე და მეექვსე კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები და მათი მოსწავლეები. დიაგნოსტიკის ეტაპზე ჩვენ შევიმუშავეთ საკვლევი კითხვები და სტრუქტურირებული კითხვარი. აღნიშნულ ეტაპზე ჩვენ ვიმყოფებოდით სკოლაში, სადაც მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ჩავატარეთ ფოკუს ჯგუფები (2 მასწავლებლებთან, 3 მოსწავლეებთან). ამასთანავე გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდი (სრული შერჩევა) და სკოლის ყველა მასწავლებელს ვთხოვეთ შეევსოთ ჩვენს მიერ შედგენილი კითხვარი.

დიაგნოსტიკის შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემების გადასაჭრელად შევიმუშავეთ ინტერვენციები, რომელიც მოიცავდა მასწავლებლებისთვის ტრენინგის ჩატარებას და სხვადასხვა განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გაცნობა-გამოყენებას. ჩვენს მიერ შეთავაზებული ინსტრუმენტები მასწავლებლებს უნდა გამოეყენებინათ საგაკვეთილო პროცესში და უნდა დაჰკვირვებოდნენ მას.

შეფასების ეტაპი მოიცავდა მასწავლებლებთან  და მოსწავლეებთან ფოკუს-ჯგუფებს, და მასწავლებლების თვითრეფლექსიას.

მოცემული პრაქტიკის კვლევის ფარგლებში მასწავლებლებმა საგაკვეთილო პრაქტიკაში დანერგეს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები და დაადგინეს, რომ ისინი ერთნაირად ეფექტურია, როგორც დაწყებით ასევე საბაზო საფეხურზე. მოცემულ ინსტრუმენტებზე დაყრდნობით საგაკვეთილო პროცესი გახადეს ბევრად უფრო მრავალფეროვანი, საინტერესო და სახალისო. ასევე უზრინველყვეს მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში. მათ ასევე შეძლეს მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირება, რამაც საშუალება მისცა მარტივად ეპოვნათ პრობლემის მოგვარების გზები, ამ ყოველივემ კი ერთმნიშვნელოვნად დადებითად იმოქმედა მოსწავლეთა აკადემირ შედეგებზე.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** პრაქტიკის კვლევა, განმავითარებელი შეფასება, განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები.

## Abstract

The present work is a report of the practice research carried out in the Public School N2 of the village of Partskhanakanevi, Tskaltubo Municipality. This study is about the effective use of formative assessment tools at the elementary and basic levels of the same school.

Despite the reforms implemented in the field of education, it seems that the effective use of formative assessment tools in schools is still a big challenge. In order to investigate this problem, we conducted a practice study in Partskhanakanevi Public School N2, in which the second, third, fourth and sixth grade teachers of Georgian language and literature and their students were involved. At the diagnosis stage, we developed research questions and a structured questionnaire. At the mentioned stage, we were at the school, where we conducted focus groups with teachers and students ( 2 with teachers, 3 with students). In addition, we used the quantitative research method (complete sampling) and asked all the teachers of the school to fill in the questionnaire we prepared.

In order to solve the problems identified as a result of the diagnosis, we developed interventions that included training for teachers and familiarization with the use of various formative assessment tools. The tools offered by us should be used by the teachers in the teaching process and should be observed.

The evaluation phase included focus groups with teachers and students, and teacher seif-reflection.

As part of this practice study, teachers implemented various formative assessment tools in their classroom practice and found them to be equally effective at both the elementary and elementary levels. Based on the given tools. the teaching process was made much more diverse, interesting and fun. They also ensured the maximum involvement of students in the teaching

process. They were also able to focus on the needs of the students, which allowed them to easily find ways to solve the problem, and all of this had a unequivocally positive effect on the academic results of the students.

**Key search words**: practice research, formative assessment, formative assessment tools.